თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის
სხდომის ოქმი №7

თბილისი,

21 სექტემბერი, 2016

სხდომა დაიწყო 18.00 საათზე

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- სხდომის თავმჯდომარე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი;
- კომისიის მდივანი – იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ტაბატაძე;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ეკა სეფაშვილი;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ზაზა სოფრომაძე;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე მირიან მჭედლიშვილი;
- საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორი გიორგი ტაბატაძე;
- მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა ჯაყელი.

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ნათია ჩირიკაშვილი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;

– გიგა დაიაური – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მრჩეველი.

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

– ცენტრალური საარჩევნო კომისია – გიორგი კალანდარიშვილი;
– საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო – ნინო მინდიაშვილი.

კომისიის სხდომაზე მოწვეული სხვა პირები:

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

– „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" – თინათინ ბოკუჩავა;
– „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" – ირაკლი კობახიძე, ნინო ვარდოსანიძე;
– „კახა ძაგანია, სოსო შატბერაშვილი, პაატა ჯიბლაძე, არჩილ ბენიძე – მემარცხენე ალიანსი" – პაატა ჯიბლაძე;
– „ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა" – თამარ ზურაშვილი.

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

– „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი" (NDI) – ნატაშა როტჩაილდი;
– „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი" (IRI) – ქეთი ჩადუნელი;
– „ეუთო-ს სადამკვირვებლო მისია" (OSCE/ODIHR) – ენირა ბრონიტსკაია;
– „ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი" – შორენა ლათათია;
– ევროკავშირის წარმომადგენლობა – ნინო ღუდუშაური;
– USAID – ხათუნა კუნჭულია.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

– „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი" – დავით ლილუაშვილი;
– „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" – ლევან ნატროშვილი;
– „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია" – გრიგოლ გაგნიძე;

– „ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილი;
– „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ – ანა ნაცვლიშვილი;
– „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;
– „საზოგადოებრივი დამცველი“ – დემეტრე ლომაძე;
– „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი“ (CDD) – ნინო გვარამია;
– „სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“ – ვლადიმერ ბოჟაძე;
– „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ – ანა გურიელი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18:00 საათზე და შეამოწმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. სხდომის თავმჯდომარემ დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 29 ივნისის №140 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1) **შესაძლო ძალადობისა და წინასაარჩევნო აგიტაციის ხელშეშლის ფაქტები:**

- სოფელ ლაშეში მცხოვრები ვეფხია ნიქაბაძისა და გივი მაჭავარიანის („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეები) საცხოვრებელ სახლებში სამართალდამცველთა შესვლისა და ჩხრეკის თაობაზე;
- „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მხარდამჭერთა მიერ „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიციის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე შოთა ლორიას შესაძლო ცემის თაობაზე;
- „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ლევან გოგიჩაიშვილის ოფისში შესაძლო პროვოცირების მიზნით შესულ პირებთან დაკავშირებით, რომლებსაც თან ჰქონდათ ცეცხლსასროლი იარაღი;
- ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ მამხუთში მცხოვრებ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორ ეთიბარ გაჯიევზე სოფლის თემის

საკრებულოს წევრ რასულ ბახტიაროვის მხრიდან განხორციელებულ შესაძლო ზეწოლის თაობაზე;

- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლავისმანში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატ ბადრი ბასიშვილის მიმართ წინასაარჩევნო აგიტაციის წარმოებისას გორის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების მხრიდან განხორციელებული შესაძლო ხელშეშლის თაობაზე;
- სოფელ გამარჯვებაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტის შესაძლო ცემის თაობაზე;
- უჩამონას ადმინისტრაციულ ერთეულში ზუგდიდის გამგებლის წარმომადგენელ ბეჟან ჭურღულიას შესაძლო ცემის თაობაზე.

2) **ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტებზე შემოსული განცხადებების განხილვა:**

- „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ირაკლი მეზურნიშვილის სოფელ სამთავისში მოსახლეობის შეხვედრისას საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მონაწილეობის თაობაზე;
- 2016 წლის 10 სექტემბერს ქ. სენაკში „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ კანდიდატ ირაკლი ბერაიას მოსახლეობასთან შეხვედრისას საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მონაწილეობის თაობაზე.

3) **სააგიტაციო მასალის განთავსების ხელშეშლის შესაძლო ფაქტები:**

- ქალაქ თელავში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ გიორგი ბოტკოველის სარეკლამო ბილბორდის დაზიანების თაობაზე; 10 სექტემბერს გლდანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ სერგო რატიანის ბილბორდის დაზიანების თაობაზე; სოფელ პატარძეულის შესასვლელში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ბილბორდის დაზიანების თაობაზე;
- ფოთში, რუსთაველის რკალზე, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ კანდიდატ ირაკლი ხახუბიას პლაკატების ჩამოხევის თაობაზე;
- დიდ დიღომში, პეტრე იბერისა და მირიან მეფის ქუჩაზე, „უსუფაშვილი – რესპუბლიკელების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიციის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის პლაკატებით გადაფარვის თაობაზე; საბურთალოს რაიონში, მიროტაძის ქუჩაზე, მაჟორიტარი

დეპუტატობის კანდიდატ დავით უსუფაშვილის საარჩევნო პლაკატების საარჩევნო სუბიექტ „ქართული იდეის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის პლაკატებით გადაფარვის თაობაზე;

- „ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ გრიგოლ (გიგლა) ბარამიძის პლაკატის „ირაკლი ალასანია – თავისუფალი დემოკრატების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის პლაკატით გადაფარვის თაობაზე;
- დიდუბის მე-16 საარჩევნო ოლქში „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიციის“ სააგიტაციო პლაკატზე „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ პლაკატების გადაკვრის თაობაზე; ვაზისუბანში „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიციის“ პლაკატებზე პარტიის – „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“ – პლაკატების გადაკვრის თაობაზე.

4) ცესკო-დან საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის გაგზავნილი ინსტრუქციების თაობაზე (ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებლებთან დაკავშირებით).

5) სხვადასხვა.

ბატონმა შალვა ხუციშვილმა, სხდომის დასაწყისში მადლობა გადაუხადა პარტიების წარმომადგენლებს, რომ გამოეხმაურნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლობის ინიციატივას, რომლის საფუძველზეც, საარჩევნო სუბიექტები ამომრჩევლებთან დაგეგმილი შეხვედრების შესახებ ინფორმაციას წინასწარ აწვდიან პოლიციას. შინაგან საქმეთა სამინისტრო ეფექტურად მუშაობს, მუდმივად ხდება შეხვედრების უსაფრთხოდ და ხელშეშლის გარეშე ჩატარების უზრუნველყოფა და ბოლო პერიოდში წინასწარ შემოსული შეტყობინებების მეშვეობით ინციდენტები, ფაქტობრივად, აღარ ფიქსირდება, ხოლო მცირე დაძაბულობის შემთხვევაში, პოლიციის მიერ დროულად განიმუხტება სიტუაცია.

სხდომის თავმჯდომარის განცხადებით, დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხებში მეტწილად ფიგურირებდა სააგიტაციო მასალების განთავსების სავარაუდო ხელშეშლის, შესაძლო ძალადობისა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტები.

სხდომის თავმჯდომარემ, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია სოფელ ლაშეში მცხოვრები ვეფხია ნიქაბაძისა და გივი მაჭავარიანის („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეები) საცხოვრებელ სახლებში სამართალდამცველთა შესვლასა და ჩხრეკასთან დაკავშირებით.

ბატონი შალვას განცხადებით, ვაკეში მომხდარი გახმაურებული მკვლელობის ფაქტზე საგამოძიებო ღონისძიებების ფარგლებში გარკვეულ პირთა ადგილმდებარეობის დადგენის მიზნით მიმდინარეობდა სოფელ ლაშეში მცხოვრებთა გამოკითხვა, სადაც ადგილი არ ჰქონია პოლიტიკური ნიშნით დიფერენციაციას და მხოლოდ ემსახურებოდა კონკრეტული პირის (რომელიც წარმოშობით ამ სოფლიდან იყო) ძებნის ღონისძიებას; ხოლო პროცედურული დარღვევების შესახებ დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულებების ფლობის შემთხვევაში, ნებისმიერს შეუძლია, მასალები მიაწოდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და გენერალური ინსპექცია შეისწავლის პოლიციელის მხრიდან შესაძლო გადაცდომის ფაქტებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ბატონი შალვა ხუციშვილის თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ ეტაპზე ორი გამოწვევის წინაშე დგას: არჩევნების მშვიდობიან და უსაფრთხო გარემოში ჩატარება და პოლიციის დეპოლიტიზებულობის შენარჩუნება, რაც უმნიშვნელოვანესია ქვეყნის განვითარებისათვის. პოლიციის დეპოლიტიზება, თავის მხრივ, გულისხმობს საარჩევნო სუბიექტის სასარგებლო ან საწინააღმდეგო კამპანიაში პოლიციელთა ჩაურთველობას, არ ჰქონდეს ადგილი პირთა დაკავებას, თუმცა, მეორე მხრივ, პოლიცია უნდა იყოს დამოუკიდებელი პოლიტიკური კონიუნქტურისგან და გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, თუ ეს სჭირდება მართლწესრიგის დაცვას.

შემდეგი საკითხი ეხებოდა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მხარდამჭერთა მიერ „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიციის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე შოთა ლორიას შესაძლო ცემის ფაქტს, რასთან დაკავშირებითაც მთავარი პროკურორის მოადგილის, ბატონი გიორგი გაბიტაშვილის, ინფორმაციით, „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიციის“ განცხადების საფუძველზე გამოძიება დაწყებულია სსკ 125-ე (ცემის) მუხლით, ოპერატიულად დადგენილია ინციდენტის მონაწილე და თვითმხილველ პირთა ვინაობა, აქტიურად მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები ბრალეულობის გამოკვეთის მიზნით და ინციდენტში მონაწილე პირთა პარტიული კუთვნილების დასადგენად.

საკითხს გამოეხმაურა ქალბატონი ნატალია ხოხიაშვილი („ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსთვის“), რომელმაც დაადასტურა ცემის ფაქტი და დამატებითი ინფორმაცია მიაწოდა სხდომაზე დამსწრეებს ზემოთქმულთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხზე განმარტება გააკეთა ბატონმა ირაკლი კობახიძემ („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“), რომლის ინფორმაციითაც, პარტიამ გადაამოწმა

ინციდენტში მონაწილე პირები და დადგინდა, რომ ისინი არ ირიცხებიან არც „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ და არც ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრთა სიაში, ასევე, ისინი არც პარტიის ადგილობრივი შტაბის აქტივისტთა რიგებში ფიქსირდებიან.

მომდევნო საკითხზე განხორციელებული რეაგირების შესახებ ინფორმაცია შეეხებოდა ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ მამხუთში მცხოვრებ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორ ეთიბარ გაჯიევზე სოფლის თემის საკრებულოს წევრ რასულ ბახტიაროვის მხრიდან შესაძლო ზეწოლის ფაქტს. პროკურატურის ინფორმაციით, გამოკითხულია მხარეები, მათ შორის, ეთიბარ გაჯიევი, რომლის განმარტებით, რასულ ბახტიაროვის მხრიდან როგორც მისი, ისე ოჯახის მისამართით არ ჰქონია ადგილი რაიმე სახის მუქარასა და ზეწოლას. მოპოვებული ინფორმაცია გამოძიების დაწყების საფუძველი ვერ გახდებოდა, რადგან არ იყო სახეზე კონკრეტული დანაშაულის ნიშნები.

საკითხზე კომენტარი გააკეთა ქალბატონმა თინათინ ბოკუჩავამ („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), რომლის ინფორმაციითაც, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა მუქარის ფაქტს. მან, ასევე, მოითხოვა მისი პარტიის მიერ შემოტანილ განცხადებებზე შესაბამისი რეაგირებები, რადგან, როგორც თავად აღნიშნა, საქმეები არ იყო ჯეროვნად შესწავლილი. მან იქვე დასძინა, რომ თუ არ იქნებოდა სათანადო პასუხები, ვერ ხედავდა მისი პარტიის სხდომის ფორმატში მონაწილეობის აზრს.

ზემოთქმულს გამოეხმაურა ბატონი შალვა ხუციშვილი და აღნიშნა, რომ გაკეთებულ განცხადებებსა და ბრალდებებს უნდა ახლდეს მტკიცებულები, მოწმეების ჩვენებები, რომ საგამოძიებო ორგანოების მხრიდან დადგეს შესაბამისი შედეგი. უწყებების მხრიდან არცერთი განცხადება თუ მედიაში გაჟღერებული ინფორმაცია რეაგირებისა და შესწავლის გარშე არ დარჩენილა, ზოგ მათგანზე დაიწყო გამოძიება, რომელთა დასრულებასაც დრო სჭირდება, ხოლო ზოგ და უმეტეს საკითხზე დანაშაულის ან სამართალდარღვევის ნიშნების არარსებობის გამო შეწყდა წარმოება.

ამის შემდეგ განიხილეს სოფელ ფლავისმანის ინციდენტი, რომელიც შეეხებოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატ ბადრი ბასიშვილის მიმართ წინასაარჩევნო აგიტაციის წარმოებისას გორის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების მხრიდან ხელშეშლას. ქალბატონი თინათინ ბოკუჩავას განცხადებით, ადგილი ჰქონდა ფიზიკურ შეურაცხყოფას და დანაშაულის ნიშნების შემცველ ქმედებებს.

ბატონმა შალვა ხუციშვილმა ფლავისმანის ინციდენტის თაობაზე სიტყვა გადასცა მთავარი პროკურორის მოადგილეს, ბატონ გიორგი გაბიტაშვილს. მან კომისიას შესთავაზა შემთხვევის ამსახველი ვიდეოკადრების ნახვა, რომელიც „ერთიანმა ნაციონალურმა

მოძრაობამ" მიაწოდა კომისიას. ვიდეომასალის ჩვენების შემდეგ მთავარი პროკურორის მოადგილის მიერ დამსწრეთათვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, არც აღნიშნული ვიდეომასალიდან და არც სამართალდამცველთა მიერ საქმის შესწავლის შედეგებიდან არ იკვეთება რაიმე სახის დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედება. თავად ბადრი ბასიშვილი უარყოფს ფიზიკური დაპირისპირების ფაქტს. ბატონი გიორგის თქმით, ადგილი ჰქონდა მხოლოდ სიტყვიერ დაპირისპირებას.

ჰქონდა თუ არა რაიმე შეხება შელაპარაკებაში თანამდებობის პირების მონაწილეობის ფაქტს, ამის თაობაზე განმარტება გააკეთა ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა (მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი). მისი განმარტებით, მუნიციპალიტეტიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კერძო მესაკუთრეების ღობეებზე პლაკატების გაკვრისა და ამის ნიადაგზე სიტყვიერი დაპირისპირების ფაქტს უბრალოდ შეესწრო გამგებლის წარმომადგენელი (რადგან მისი სამუშაო ადგილი შემთხვევის ადგილის მიმდებარეა) და შელაპარაკებაში არანაირი მონაწილეობა არ მიუღია.

ბატონმა გიორგი კალანდარიშვილმა (ცესკო-ს წარმომადგენელი) ფლავისმანში მომხდარ ინციდენტში საარჩევნო კომისიის წევრების შესაძლო მონაწილეობის ფაქტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ამ საკითხზე საჩივარი გადაგზავნილია გორის საოლქო საარჩევნო კომისიაში და საჩივრის შესწავლის შედეგების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება უწყებათაშორის კომისიას.

ბატონმა შალვა ხუციშვილმა მთავრობის ადმინისტრაციისა და ცესკო-ს წარმომადგენლებს თხოვნით მიმართა, დეტალურად შეესწავლათ საქმე მათი კომპეტენციების ფარგლებში და, კანონდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, რეაგირება ყოფილიყო სამაგალითო ყველა საჯარო მოხელისათვის, რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების რისკები.

საკითხთან დაკავშირებით ქალბატონმა თინათინ ბოკუჩავამ განმარტა, რომ ბადრი ბასიშვილი ატარებდა „კარდაკარის" კამპანიას და მისი თანმხლები ახალგაზრდები მხოლოდ მესაკუთრეთა ნებართვით აკრავდნენ პლაკატებს კერძო საკუთრებაზე. მისი თქმით, შელაპარაკებაში მონაწილეობდა რამდენიმე თანამდებობის პირი. მან იქვე გაიხსენა დედოფლისწყაროში, გორსა და ზუგდიდში მათ ოფისებზე მომხდარი თავდასხმა, ასევე ჯიხაშკარის ინციდენტი. მისი თქმით, ამ შემთხვევების მსგავსად, ფლავისმანის შემთხვევაც სათანადო რეაგირების გარეშე რჩებოდა. მსგავსი დამოკიდებულებით იგი კომისიის სხდომათა ფორმატში მუშაობის აზრს ვეღარ ხედავდა და დატოვა სხდომის დარბაზი.

დღის წესრიგის შესაბამისად, ბატონმა შალვა ხუციშვილმა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ლევან გოგიჩაიშვილის ოფისში შესაძლო პროვოცირების მიზნით ცეცხლსასროლი იარაღის მქონე პირების შესვლის ფაქტთან მიმართებით სიტყვა გადასცა ბატონ გიორგი გაბიტაშვილს. ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს შსს ვაკე-საბურთალოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში სსკ 236-ე მუხლით (ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა-ტარება). მისი თქმით, ამ პირთა ყოფნის ფაქტი ლევან გოგიჩაიშვილის საარჩევნო შტაბში დადასტურებულია, ამოღებულ იარაღზე დანიშნული ექსპერტიზის დასკვნით კი, იარაღი არის აირის (გაზის) და არა ცეცხლსასროლი. ამასთან, თვითმხილველების ჩვენებების თანახმად, ლევან გოგიჩაიშვილის ოფისში შესულ პირებს ეცვათ „ქართული ოცნების“ მაისურები, იყვნენ ნასვამ მდგომარეობაში და ჰქონდათ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

შემთხვევას გამოეხმაურა ბატონი ირაკლი კობახიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების მიზანი ამ შემთხვევაში იყო არა იარაღის გამოყენება, არამედ ემსახურებოდა პროვოკაციას, რომლის თანახმადაც, მათი პარტიის მაჟორიტარი კანდიდატის ოფისთან ვიდეოთი ან ფოტოკამერის მეშვეობით კადრში დააფიქსირებდნენ „ქართული ოცნების“ მაისურიან იარაღით შეიარაღებულ პირებს და ამ გზით ლევან გოგიჩაიშვილს სახელს შეუბღალავდნენ კრიმინალური მიდრეკილების პირებთან თანამშრომლობის კუთხით.

დღის წესრიგის თანახმად, კომისიამ იმსჯელა წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტებზე. საუბარი, ძირითადად, შეეხო სოფელ სამთავისსა და ქ. სენაკში „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ დეპუტატობის კანდიდატების მოსახლეობასთან შეხვედრისას საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მონაწილეობის საკითხს.

ბატონი ირაკლი კობახიძის განცხადებით, მსგავსი პრობლემები შეინიშნებოდა წინა არჩევნებზეც და პირები დაჯარიმდნენ კანონში აღნიშნული დარღვევებისთვის. პრევენციის მიზნით, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მხრიდან რეგულარულად გაიცემა რეგიონულ ოფისებში შესაბამისი გაფრთხილებები საარჩევნო კამპანიაში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მონაწილეობის თავიდან აცილების მიზნით. მისი თქმით, პოლიტიკურ გაერთიანებას არ აქვს უფლება, ჩაერიოს ან მოუწოდოს საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიას მოსახლეობასთან შეხვედრა-არშეხვედრასთან დაკავშირებით.

ბატონი ვლადიმერ ბოჟაძის („სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი") აზრით, ასეთი სახის მონაწილეობა განხილულ უნდა იქნეს არა როგორც ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, არამედ როგორ სააგიტაციო შეხვედრებში მონაწილეობის ფაქტები. მან სთხოვა კომისიას, კიდევ ერთხელ მოუწოდოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებსა და პოლიტიკურ პარტიებს კანონის დაცვისკენ. სხდომის თავმჯდომარემ საკითხთან დაკავშირებით მიმართა ცესკო-ს წარმომადგენელს, გაეტარებინათ პრევენციული ღონისძიებები მსგავსი შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.

ცესკო-ს წარმომადგენლის განმარტებით, ეს საკითხი მკაცრად არის რეგლამენტირებული „საქართველოს საარჩევნო კოდექსში" და ამის თაობაზე სისტემატურად ხდება შეხსენება საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობაში ჩართულ პირთა მიმართ. რაც შეეხება ზემომითითებულ კონკრეტულ ფაქტებს, საოლქო საარჩევნო კომისიები სწავლობენ და, სამართალდარღვევის დადასტურების შემთხვევაში, განცხადებაში მოყვანილ პირებს დაეკისრებათ შესაბამისი სანქცია ჯარიმის სახით.

კომისიამ სააგიტაციო მასალის დაზიანებისა და განთავსების ხელშეშლის ფაქტებთან დაკავშირებით, ამ კუთხით თბილისში გახშირებული შემთხვევების გამო, მოისმინა ბატონი მამუკა ჯაყელის (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური) ინფორმაცია. მან თხოვნით მიმართა პოლიტიკურ პარტიებსა და სხდომაზე დამსწრე ორგანიზაციებს, რომ შესაძლო სამართალდარღვევაზე წარმოდგენილ განცხადებებში მითითებული ყოფილიყო ზუსტი მისამართი ეფექტური და ოპერატიული რეაგირების მიზნით. მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით, შედგენილია 78 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" – 8 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" – 16, „უსუფაშვილი – რესპუბლიკელები" – 6, „ირაკლი ალასანია – თავისუფალი დემოკრატები" – 9, „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია" – 13, „ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა" - 9, „ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისათვის" – 10, „ჯონდი ბაღათურია – ქართული დასი" – 2, „ქართული იდეა" – 3, „თოფაძე- მრეწველები, ჩვენი სამშობლო" –1, „ჩვენები – სახალხო პარტია" - 1). აქვე მან დამსწრე საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების საყურადღებოდ განმარტა, რომ აკრძალულია გარე განათების ბოძებზე პლაკატების გაკვრა.

ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა საკითხთან მიმართებით ყურადღება გაამახვილა რეგიონებში არსებულ მდგომარეობაზე. მისი თქმით, ადგილობრივი თვითმმართველობის

ზედამხედველობის სამსახურებში შესულ დარღვევებზე მიმდინარეობს წარმოებები. მანვე მაგალითად მოიყვანა გარდაბანში დაფიქსირებული დარღვევის შემთხვევა, სოფელ გამარჯვებაში, რაზეც „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" წარმოადგინა განცხადება თანდართული ვიდეომასალით. ფაქტზე რეაგირება მოახდინა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურმა და შედგა შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმი.

ბატონმა შალვა ხუციშვილმა თხოვნით მიმართა ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს, რომ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოები კიდევ ერთხელ გააფრთხილონ ამგვარ ფაქტებზე ეფექტურად რეაგირების თაობაზე.

სააგიტაციო მასალების საკითხებთან დაკავშირებით არსებულ დარღვევებზე ისაუბრეს სხდომაზე დამსწრე პირებმა („ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა", „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო"); მარნეულსა და თბილისში მომხდარ ფაქტებზე კომისიას ინფორმაცია მიაწოდა ბატონმა დანიელ დავითაშვილმა („პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი)".

სხდომის თავმჯდომარემ კომისიას მიმართა, შეემუშავებინათ რეკომენდაცია, რომლითაც მოუწოდებდნენ პარტიების საარჩევნო სუბიექტებს, თავი შეეკავებინათ სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, ჩამოხევა, დაფარვა, დაზიანება, განთავსებაში ხელის შეშლისგან, ხოლო მსგავსი ხასიათის დარღვევების გამოვლენისას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დროულად და ეფექტიანად გაეტარებინათ საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები. კომისიის წევრებმა ერთხმად გამოხატეს თანხმობა აღნიშნულ წინადადებაზე.

კომისიამ მოისმინა ბატონი გიორგი კალანდარიშვილის (ცენტრალური საარჩევნო კომისია) ინფორმაცია ცესკოს მიერ საოლქო კომისიებში გაგზავნილ ინსტრუქციებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხებოდა საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისა და დამკვირვებლების ერთგვარ ქცევის წესს. ბატონი გიორგი კალანდარიშვილის განცხადებით, აღნიშნულ საკითხზე არაერთხელ დაფიქსირდა ცესკო-ს პოზიცია, რომ ეს ე.წ. სახელობითი ინსტრუქცია კანონის ნორმების ამონარიდებს შეიცავს და მასში რაიმე სახის დამატებითი შეზღუდვები არ არის შესული. მისი თქმით, ეს ინსტრუქცია არცერთი პოლიტიკური გაერთიანების უფლებებს არ ზღუდავს და არც რომელიმეს აყენებს პრივილეგიურ მდგომარეობაში.

დღის წესრიგით განსაზღვრული არაერთი საკითხის განხილვის შემდეგ კომისიის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა ქალბატონმა ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილმა („ახალი თაობა –

დემოკრატიული საქართველოსთვის"). მის თქმით, თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში არსებულ „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიციის" ოფისთან შავი ფერის ავტომობილიდან ხდება თვალთვალი. ბატონმა შალვა ხუციშვილმა სთხოვა ქალბატონ ტატიანას (ნატალიას), სამართალდამცავი ორგანოებისთვის ან კომისიის სამდივნოსთვის მიეწოდებინა უფრო კონკრეტული ინფორმაცია, მაგალითად, ავტომობილის სანომრე ნიშანის შესახებ, რის შემდეგაც მოხდებოდა სათანადო რეაგირება. სიტყვით გამომსვლელმა აღნიშნა, რომ დამატებითი ინფორმაციის მოპოვების შემთხვევაში აუცილებლად მიაწვდიდა კომისიას მტკიცებულებებს.

კომისიამ იმსჯელა ქალბატონი ანა ნაცვლიშვილის („საქართველოს ახა ლგაზრდა იურისტთა ასოციაცია") მიერ წამოჭრილ საკითხებზე, რომელთა თანახმადაც, სამეგრელოში (მარტვილში) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელმა, ერთ-ერთი ა(ა)იპ სამსახურის ყველა თანამშრომელს – 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე 10-10 მხარდამჭერი ამომრჩევლის მიყვანა, მანამდე კი, ამ პირთა პირადობის მოწმობების ასლების მიტანა დაავალა. მისივე განცხადებით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის სავარაუდო უგულებელყოფით ხდება რიგი პოლიტიკური პარტიების მხრიდან ამომრჩეველთა პერსონალურ მონაცემთა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) აღრიცხვა, თუმცა, ისინი არ განმარტავენ ამ მონაცემების შეგროვების მიზანს. მისი თქმით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დასახელებულ პირთა სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ სოციალურად დაუცველი, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი და დევნილი მოქალაქეები, რაც საზოგადოებაში კითხვის ნიშნებს აჩენს. პრევენციის მიზნით ქალბატონმა ანამ ითხოვა ზოგადი რეკომენდაციის გამოცემა.

ბატონმა შალვა ხუციშვილმა ქალბატონი ანა ნაცვლიშვილის მიერ მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით, კერძოდ, სამეგრელოს შემთხვევაზე, მიმართა, დაეზუსტებინა, კონკრეტულად რომელ ა(ა)იპ-ს გულისხმობდა, რადგან ასეთი ზოგადი სახის განცხადებით შეუძლებელი იყო რაიმე ქმედითი ღონისძიებების გატარება; ამასთან, დაავალა ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს, შესაძლებლობების ფარგლებში, მარტვილის მუნიციპალიტეტში მოეკვლიათ, რეალურად ჰქონდა თუ არა აღნიშნულ ფაქტს ადგილი და რა მიზანს უკავშირდებოდა მონაცემთა შეგროვება.

რაც შეეხება პოლიტიკური გაერთიანებების მხრიდან პერსონალურ მონაცემთა მოპოვებას, ბატონი შალვას განცხადებით, უმჯობესი იქნებოდა, საზოგადოება დალოდებოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის პოზიციას და შესწავლის შედეგებს, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნებოდა რეკომენდაციის მიღების მიზნობრიობაზე მსჯელობა.

სხდომის მიმდინარეობისას ბატონმა დანიელ დავითაშვილმა რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება. პირველ რიგში, მან ისაუბრა მის საცხოვრებელ მისამართზე (კოსტავას ქ. №72) ცესკო-ს მიერ გაგზავნილ მოწვევებზე, რომლებზეც აღნიშნული იყვნენ როგორც გარდაცვლილი, ისე ამ მისამართიდან წლების წინ ამოწერილი პირები, აქვე დაამატა, რომ მოწვევა არ მიუღიათ პირადად მას და მის შვილს. სხდომის თავმჯდომარემ სიტყვით გამომსვლელს სთხოვა, სხდომის შემდეგ ეს ინფორმაცია გადაეცა სამდივნოსთვის, რომელიც ამ ფაქტებს დაუყოვნებლივ მიაწვდიდა შესაბამის უფლებამოსილ უწყებებს შესწავლის მიზნით.

ბატონმა დანიელ დავითაშვილმა სხდომაზე, ასევე, დააყენა ორი წინადადება სპეციალურ საარჩევნო სიებში პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და ადგილობრივი დამკვირვებლების შეყვანასა და საარჩევნო ბიულეტენების კონვერტში მოთავსების წესთან დაკავშირებით. მომხსენებელმა ითხოვა ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან შესაბამისი დადგენილების გამოცემა, რომელიც დაარეგულირებდა ზემოჩამოთვლილ საკითხებს, ვინაიდან დღეს არსებული რეგულაციებით იქმნება კანონდარღვევის დაშვების წინაპირობები, რომლებიც შესაძლოა, ძალზედ ცუდი შედეგის მომტანი იყოს არჩევნებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ ბატონ დანიელს მიმართა, ამ საკითხებთან დაკავშირებით წერილობითი დეტალური წანადადებები წარმოედგინა, რომელიც კომისიის სამდივნოს მეშვეობით მიეწოდებოდა ცესკო-ს. ბატონმა გიორგი კალანდარიშვილმა მზაობა გამოხატა წარმოდგენილ წინადადებათა დეტალურად განხილვისათვის, რაზეც მომავალ სხდომაზე ცესკო წარმოადგენდა საკუთარ პოზიციას.

დასასრულ, სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს მობრძანებისთვის და მომდევნო სხდომის თარიღად გამოაცხადა 2016 წლის 28 სექტემბერი, ოთხშაბათი, 18.00 საათი.

სხდომაზე წამოჭრილ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით თავიანთი პოზიციები, ასევე, დააფიქსირეს შემდეგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა:

- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – თინათინ ბოკუჩავა;
- „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ – ირაკლი კობახიძე;
- „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა“ – თამარ ზურაშვილი.

სიტყვით გამოვიდნენ შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები:

- „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი" – დანიელ დავითაშვილი;
- „სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი" – ვლადიმერ ბოჟაძე;
- „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია" – გრიგოლ გაგნიძე;
- „ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსთვის" – ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილი;
- „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" – ანა ნაცვლიშვილი;

სხდომაზე გამართული დისკუსიის შეჯამების შედეგად კომისიამ შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაცია:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაცია

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის აკისრია რა პასუხისმგებლობა, ხელი შეუწყოს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარებას, რეკომენდაციით მიმართავს

არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო სუბიექტებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

პოლიტიკურმა პარტიებმა (საარჩევნო სუბიექტებმა) გასცენ მკაფიო მითითება იმის შესახებ, რომ მათ აქტივისტებს/წარმომადგენლებს კატეგორიულად ეკრძალებათ კონკურენტი პარტიის (საარჩევნო სუბიექტის) სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, ჩამოხევა, დაფარვა, დაზიანება ან განთავსებაში ხელის შეშლა;

აუცილებელია, მსგავსი ხასიათის დარღვევების გამოვლენისას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა დროულად და ეფექტიანად გაატარონ საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები;

პოლიტიკურმა პარტიებმა კიდევ ერთხელ მოუწოდონ თავიანთ წევრებსა და აქტივისტებს შიდაპარტიული დისციპლინის დაცვისა და კანონმორჩილებისაკენ.

სხდომა დასრულდა 20.30 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე:

სხდომის მდივანი: